




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 140



2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხელშეწყობისთვის, რათა მოხდეს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ბიბლიოთეკის ფასეულობათა შენარჩუნება-გამდიდრება და ბიბლიოთეკებმა შეძლონ მკითხველთათვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, საჭიროა დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის 2017 წლის პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის 2017 წლის პროგრამა“ საერთო ბიუჯეტით 118 500 (ას თვრამეტი ათას ხუთასი) ლარი დანართი №1 შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2017 წლის 1 იანვრიდან;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მოქმედების სფერო მოიცავს: ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტში განთავსებულ მთავარ ბიბლიოთეკას, საბავშვო ბიბლიოთეკას, დაბა სურამში და სოფ. ხცისში განთავსებულ ბიბლიოთეკებს. ოთხივე დაწესებულება ემსახურება როგორც ადგილობრივ, ასევე საკურორტო სეზონის დროს ჩამოსულ დამსვენებლებს.

ბიბლიოთეკა არის კულტურულ საგანმანათლებლო და საინფორმაციო დაწესებულება რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს წიგნით, პრესით და ინტერნეტით.

პროგრამის მიზანი

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების საქმიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები

- მუნიციპალიტეტსა და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები);
- შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ასე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით;
- ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა;
- საბიბლიოთეკო საქმის ინფორმაციული ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა;
- ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა;
- არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისათვის;
- ელექტრონული მედიათეკის შექმნა;
- წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით;

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ასიგნებები 118 500 ლარის ოდენობით:

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რიცხვის ზრდა;

ბიბლიოთეკით მომსახურეობის გაუმჯობესება;

სერვისით მომსახურეობის გაუმჯობესება.

შეფასების ინდიკატორი:

ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რაოდენობა;

ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული პროექტებისა და მათში ჩართულ ადამიანთა რაოდენობა.